სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

08 სექტემბერი 2023

NCDC 6 23 00949278

ქ.თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის სტანდარტული ფორმის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ”და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს, სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის:

ა) მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების წესი - დანართი #1;

ბ) სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP) - ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრა (კლასტერი 1.03) - დანართი #2;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის “ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული დანართი #1-ის შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაეკისროს ცენტრის გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს.

3. დაევალოს, ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ. ებანოიძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ–გვერდზე – www.ncdc.ge.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების რეგულირების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (SOP)- ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნულ საცავში სადეზინფექციო საშუალებების ბაქტერიოციდული ეფექტის განსაზღვრის, განცხადებების და მიმართვის სტანდარტული ფორმის დამტკიცების და შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის #06-6/ო ბრძანება.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია